

K 30.786
3

ს. გ.

9(42.922)



სარგის კაკაბაძე

წიგნი ნიგო

და მისი მნიშვნელობა საზოგადოებრივ ისტორიაში.

ლექცია, წაკითხული ტფილისში 14 იანვარს 1912 წელს.



ტფილისი

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ბ. შ. კერესელიძისა, გრიბოედოვის ქ. № 34
1912



წმიდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში.

(ლექცია, წაკითხული ტფილისში 14 იანვარს 1912 წ.)

ქალბატონებო და ბატონებო!

დღეს მთელი ქართველი ერი დღესასწაულობს იმ წმინდა და ქალწულის ხსოვნას, რომელმაც დაამკვიდრა ჩვენში ქრისტიანობის ნათელი. წმიდა ნინო არის ის პირი, რომლის სახელთან დაკავშირებულია ახალი მოძღვრების დამყარება ჩვენს საქართველოში. ცხადია ის დიადი მნიშვნელობა, რომელიც მას საუკუნეების სიგრძეზედ ჰქონდა და აქვს ქართველების აზროვნებაში. ის არ არის დამარსებელი რომელიმე ახალი სარწმუნოებისა ვითარ იესო ქრისტე ან მაჰმადი, მაგრამ წმ. ნინო არის დამფუძნებელი ჩვენი ეროვნულ სარწმუნოებისა — მართმადიდებელ ქრისტიანობისა, რომელმაც სული ჩაუდგა ქართველ ერის ინდივიდუალურ არსებობას. ამიტომაც წმ. ნინოს სახელი ზენაარ შერავანდედით არის მოსილი მისი ცხოვრება ლამაზ, მოხდენილ და გონების წარმტაც ლეგენდებით არის შემკობილი. ნინო, შთამომავლობით კაბადოკიელ მდიდარი ოჯახის შვილი, ნათესავი იერუსალიმის პატრიარქისა, ქრისტეს სჯულის სიყვარულით განსკვალული მიდის საქართველოსაკენ. გზაში მას ღვთისმშობელი ნუგეშის საცემად აძლევს ჯვარს ვაზისას. მცხეთაში მოსვლის შემდეგ წმ. ნინო შეუდგება თავის განმანათლებელ მოღვაწეობას. სასწაულებრივი დამხობა წარმართულ კერპებისა, სასწაულებრივივე მოქცევა მირიან მეფისა და სამეფო ოჯახისა და შემდეგ მთელი ქართველი ერისა, სვეტი-ცხოველის აღმართება — ყველა ეს ის ლეგენდებია, რომელიც საუკუნეების განმავ-

30786

სპეკ-2000
შემოწმებულია





ლობაში აღვიძებდა ქართველ ხალხის სარწმუნოებრივსა და ეროვნულ გრძნობას, სწორედ ისე, როგორც ჩვენს ხალხს ბავშვობის დროს გვასწავლის სიყვარულს ეროვნულს სჯული-სა და მამულისადმი. სულ სხვაა, როდესაც ამ გონებისა და აზროვნების მომხიბლველ გარდმოცემით მოხვდება ისტორიკოსის ცივი ხელი, მაშინ თავისთავად დაისმის საკითხი— ვინ არის და რა არის ეს ერის სათაყვანო ქალწული? არის ის ისტორიული პიროვნება, რეალური ფაქტი ჩვენს წარსულში, თუ მისი მოღვაწეობა და მისი პიროვნებაც არის ილლუზია, ნაყოფი ქართველ ერის შემოქმედებისა. რომ წმიდა ნინო მართლაც ისტორიული პირია, ეს სჩანს იქიდან, რომ მის შესახებ ცნობები აქვს ლათინელ მწერალს რუფინს, რომელიც ცხოვრობდა მე-IV საუკ. მეორე ნახევარში და მაშასადამე მხოლოდ 1-ან 2 თაობით იყო დაშორებული წმიდა ნინოს. რუფინი გადმოგვცემს შემდეგს: „იბერიის ერმა ქრისტიანობა მიიღო ერთი ტყვე ქალის წყალობით. ეს ტყვე ქალი ატარებდა ფრიად სათნო და სასტიკ ცხოვრებას ლოცვითა და მარხულობით. იბერიელებს ძლიერ უკვირდათ მისი ასეთი კეთილი ცხოვრება, უკვირდათ აგრეთვე ის, რომ ტყვე ქალი თავისს ღმერთად ქრისტეს აღიარებდა. ამ დროს ერთ დედა კაცს ბავში ავად გაუხდა, როდესაც კერძო წამლობამ არაფერი უშველა, დედამ მიმართა ტყვე-ქალს. ამანაც მოუწოდა ღვთის სახელს და ბავში სავსებით განიკურნა. ამგვარადვე ტყვე ქალმა მოარჩინა ავადმყოფი დედოფალიც, ცოლი იბერიის მეფისა. ერთხელ იბერიის მეფე სანადიროდ წასულიყო. გზაში მას მოულოდნელად დაუბნელდა, მისი ამაღა მიმოიბნა და მეფე დარჩა ტყეში მარტოდ-მარტო. ამ ვაჭირვების დროს მეფეს მოაგონდა ტყვე ქალის ღმერთი. მეფემ აღთქმა დასდო—ოღონდ ამ ხიფათისაგან თავს დავახწევდე და უთუოდ მოვინათლებიო. ამ აღთქმის დადებისთანავე უცებ ისევ განათლდა. გახარებული მეფე დაბრუნდა თავისს სასახლეში. მეფემ თავისი აღთქმა შეასრულა და კიდევ მოინათლა. რუფინს ეს ამბავი ჩაუწერია



იბერიის მეფის ბაკურის სიტყვით რომელიც, რომის იმპერატორს მხველად ყავდა და პალესტინეს საზღვრებზედ მხედარ მააერად იყო. ამ გვარად ექვს გარეშეა, რომ წმიდა ნინო არის არა ხალხის ფანტაზიის მიერ შექნილი ეროვნული წმიდანი, არამედ მართლაც ისტორიული პიროვნება. გარდა რუფინისა, რომელიც თითქმის თანამედროვე იყო წმ. ნინოსი ივერიის ხალხის გაქრისტიანებას ტყვე დედაკაცის მიერ იხსენიებენ სხვა შემდეგ დროინდელი ბიზანტიელი საეკლესიო ისტორიკოსნი და მწერალნი და კიდევ სომხური, ეთიოპური და არაბული წყაროებიც საშუალო საუკუნეებისა.

მაგრამ მეორეს მხრივ ფრიად შესანიშნავი მოვლენაა, რომ ქართველი ერი თვისს განმანათლებელად მე-IX საუკუნემდის, მაშასადამე მთელს სივრცეზედ 500 წლისა, სთვლიდა არა წმ. ნინოს, არამედ წმიდა გრიგოლს, სომეხთა განმანათლებელს. მაგალითად, ჩვენამდის მოაღწია მიწერ-მოწერამ რომელიც ქონდა გამართული ქართლის კ-ზე კირიონს სომხეთის კათალიკოზებთან მე-VI საუკ. დასასრულს და მე-VII საუკ. დასაწყისს. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართულ და სომხურ ეკლესიას შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ეს უთანხმოება იყო გამოწვეული იმდენად არა დოგმატიურის მიზეზებით, როგორც პოლიტიკური სიმპატიებისა გამო. მაშინ როდესაც სომხის ერი სპარსელების პოლიტიკურ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ქართველები ცეცხლთაყვანისმცემელ სპარსთა ბატონობის მოცილებას ცდილობდნ და ბიზანტიას კერძოდ, როგორც ერთ მორწმუნე ქრისტიან იმპერიას. სომხეთის კათალიკოზნი ცდილობდნ, ქართველებს ძველი ტრადიციული კავშირი სომხეთის ეკლესიასთან არ გაეწყვიტათ. როგორც ცნობილია, ამ ცდისაგან არა გამოვიდა რა: ქართველები დასცილდნ სომხის ეკლესიას და დოგმატიურ საკითხში დაუკავშირდნ ბიზანტიელებს. ჩვენთვის ეს მიწერ-მოწერა განსაკუთრებით იმიტომ უნდა იყოს საინტერესო, რომ აქ, ამ მიწერ-მოწერაში, ქართლის კათალიკოზი კირიონი არ უარყოფს იმ



ფაქტს, რომ ქართველებს ქრისტიანობა წმიდა გიორგი
სომეხთ განმანათლებელის ხელით აქვთ მიღებულიო. მეორე
ქართველი კათალიკოზი არსენი, რომელიც ცხოვრობდა მე-IX
საუკუნეში თავის ისტორიულ ტრაქტატში — „განყოფისათვის
ქართლისა და სომხითისა“ — აგრეთვე არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ
ქართველთა განმანათლებელად იმ დროს ითვლებოდა წმ. გრიგო-
ლი. ეს გარემოება ფრიად ღირს შესანიშნავია, განსაკუთრებით
ის, რომ გრიგოლის ქართველთა განმანათლებლობას იხსენიებს
მე-IX საუკ. ქართლისა კ.ზი. მე-IX საუკუნეში საქართველოს
ეკლესია უკვე 200-300 წლის დაშორებული იყო სომხების
ეკლესიასთან. საქართველოს ეკლესია განხეთქილების შემდეგ
სომხებს მწვალებლებად სთვლიდა. მაგრამ სჩანს ჯერ კიდევ
რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში საქართველოს ეკლესიას
თავი ვერ დაეღწია სომეხთა განმანათლებელის წმ. გრიგოლის
კულტისაგან. ვინაიდან წმინდა გრიგოლის ქართველთა გან-
მანათლებლობა მოხსენებულია ქართლის კათალიკოზთა ოფი-
ციალურ ტრაქტატებში, ცხადია, რომ მთელს სიგრძეზე მ-ნ
საუკუნისა, მე-IV საუკუნიდან დაწყებული მე-IX საუკუნემდე,
საქართველოს ეკლესია ჩვენში ქრისტიანობის გამავრცელებ-
ლად აღიარებდა წმიდა გრიგოლს. მართლაც წმიდა გრიგო-
ლის ცხოვრების უძველეს აღწერილობაში, რომელიც დაწე-
რილია მე-VI და მე-VII საუკ. მიჯნაზედ და რომელმაც ჩვე-
ნამდის მოაღწია არაბული თარგმანით, მოხსენებულია წმიდა
გრიგოლის მიერ ქრისტიანობის გავრცელება ქართველთა
შორის:

— „და მოამზადა წმიდამან გრიგოლ ეპისკოპოსნი და გან-
გზავნა ისინი სომხეთის სხვა და სხვა ადგილებს, აგრეთვე სა-
ქართველოს და სხვაგან; და ერთი ქართველი რომელიც მას
ახლდა სევასტიიდან, იბირბზხუა, აკურთხა მან მიტროპოლიტად
და გაგზავნა ის საქართველოს და დაავალა მას თავის მხრით
აკურთხოს ეპისკოპოსები ქართველთათვის“.—

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ეკლესიის



დასაწყისი უნდა მიეკუთვნოს წმიდა გრიგოლს სომეხთა მანათლეთის მანათლებელს, რომ თვით ქართველნი მე-IX საუკუნემდის თავის განმანათლებლად აღიარებდნენ წმიდა გრიგოლს. წმიდა ნინოს კულტი კი ჩნდება საქართველოში მხოლოდ მე-X საუკუნეში. ამასთანავე ისიც ექვს გარეშეა, რომ წმიდა ნინო მართლაც მოსულა ივერიაში და აქ ქრისტიანობა გაუვრცელებია.

ამას ერთხმად გარდმოგვცემენ არა მარტო თითქმის მისი თანამედროვე რუფინი, არამედ შემდეგ დროინდელი როგორც ბიზანტიური ისე სხვა უცხო მწერლები. გამოდის, რომ ქართველთ მე-X საუკუნემდის არაფერი სკოდნიათ მათ საკუთარ განმანათლებელის წმიდა ნინოს შესახებ და მხოლოდ მეთვთვე საუკუნეში ისინი ტყობილობენ მის ვინაობას. რით აიხსნება ეს ერთის შეხედვით უცნაური გარემოება?

ამის ასახსნელად ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მოკლედ ის პირობები, რა პირობებშიდაც ვრცელდებოდა ქრისტიანობა ამიერ კავკასიის საზღვრებში და აგრეთვე ისიც თუ რას წარმოადგენდა ქართველი ერის პოლიტიკურად და კულტურულად ქრისტიანობის გავრცელების დროს, ეს იგი მე-IV საუკუნეში, წმ. გრიგოლისა და ნინოს მოღვაწეობის დროს. მე პირდაპირ ვემყარები კრიტიკულად შესწავლილ იმ ეპოქის ან თანამედროვე ან არა და არც თუ დიდად დაცილებულს მტკიცე და ექვს მიუტანელს საბუთებს. ბერძნების, რომაელების, სომეხების და არაბების მწერლები ფრიად ბევრს და საყურადღებო ცნობებს გვაძლევენ ქართველ ერის ისტორიის შესახებ წავლად შუა საუკუნეების სიგრძეზედ. მე-IX საუკუნემდის ქართული წყაროები ძლიერ ნაკლებად მოიპოვება. რაც არის, ისიც წარმოადგენს ორიოდ წმიდანის ცხოვრების აღწერილობას. მე-IX საუკუნიდან კი ქართული მეცნიერება, როგორც ღვთისმეტყველური ისე ისტორიული, ფრთასა შლის. რასაკვირველია, ქართული ისტორიგრაფია, რომელმაც მხოლოდ მე-X—XI საუკ. აიდგა ფეხი, ნამდვილს სურათს ქართველი ერის ცხოვრებისას ქრისტიანობის შემო-



ქართული
საქართველოს
საქართველოს

ღების დროს ვეღარ მოგვცემს, თუ რასაკვირველია უცხო
ბერძენ, რომელი სომხურ და შემდეგ არაბულ წყაროებს არ
დავინმარებთ. კრიტიკული შესწავლა ამ წყაროებისა და მათი
შეფარდება მცირე რიცხვოვან ქართულ მასალებთან შე-
გვაძლებინებს ნამდვილი, მტკიცე, მეცნიერულად აწო-
ნილ ფაქტებზედ იქნას დამყარებული ჩვენი წარმოდგენა
ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ. და აი ამ მასალების
შედარებითი კრიტიკულად შესწავლის შემდეგ იხატება შემდეგი
სურათი ქართველ ერის მდგომარეობისა მე-IV საუკუნეში.

საქართველო

ქართველები ამ დროს მოთავსებული იყვნენ სომხეთის
სამეფოს საზღვრებში, ხოლო სომხეთის სამეფოს საზღვარი უჭ-
რიდა ჩრდილოეთით მდ. მტკვრამდის. ქართველებს ეჭირათ
ტერიტორია სამხრით მდ. მტკვრისა, მაშასადამე, ახლანდე-
ლი თრიალეთი, თრიალეთის გასწვრივ ჯავახეთისა და ბორჩა-
ლოს ჩრდილოეთის ნაწილები. ეს იყო ჯერ ახალგაზდა,
პატარა ერი, პატარა ტერიტორიის მქონე, უცხო ერის სომ-
ხების მიერ დამორჩილებული, მაგრამ მდიდარი შინაგან სუ-
ლიერი ძალით, რაც დამტკიცდა იმით, რომ რამოდენიმე საუ-
კუნის შემდეგ მათ დაიპყრეს საკმაოდ ვრცელი ტერიტო-
რია—ჩვენი ისტორიული საქართველო.

ქართველი ერი შეადგენდა სომხეთის სამეფოში ცალკე
ვასალურ სამთავროს, რომელსაც მართავდა ეროვნული მთა-
ვარი—ქართლის პიტიაში. პიტიაშის რეზიდენცია იმყოფებოდა
ახლანდელ მანგლისის დასავლეთით ცურტავში. ჩრდილოეთით
ქართველების მოსახლეობისა ამ დროს არსებობდა ძლიერი სა-
მეფო ივერიელებისა, რომელთაც ეჭირათ თანამედროვე ქართლი
მტკვრის ჩრდილოეთით და კახეთი სრულიად. ივერიელებს
ჰყავდათ საკუთარი დამოუკიდებელი მეფეები ფარნავაზიანთა
დინასტიისა, რომელთა სატახტო ქალაქად ითვლებოდა არმაზი
—მცხეთის გასწვრივ.

როდესაც მცირე აზიაში და საზოგადოდ აღმოსავლეთში
ფეხი მოიკიდა ქრისტეს მოძღვრებამ, ახალი სარწმუნოების



ქართული
ენის ინსტიტუტი

ტალღამ თანდათან მოაღწია კავკასიის საზღვრებამდის. პოლიტიკურ პირობების მიხედვით სხვა და სხვა ადგილებში სხვა და სხვა ხასიათის ანუ უკედ ვსთქვათ სხვა და სხვა ეროვნულ სახის ქრისტიანობის ნაკადი მოდიოდა. ივერიის სამეფო, როგორც ახლო მოსაზღვრე აღმოს. რომის იმპერიისა. ბერძნულ კულტურის გავლენის ქვეშ იყო. ამიტომაც ის ქრისტიანობა, რომელიც გავრცელდა ივერიის სამეფოში წმიდა ნინოს საშუალებით, იყო ბერძნული ხასიათისა და ამიტომაც ივერიის მეფე ქრისტიანობის მიღების შემდეგ ელჩებს აგზავნის ამ ამბის საუწყებლად სწორედ აღმოსავლეთ რომის იმპერატორთან. სულ სხვა მდგომარეობაში იყო საკუთრივ ქართველი ერი. როგორც სომხეთის საზღვრებში მყოფმა. ქართველმა ერმა მიიღო ქრისტიანობა სომხებთან ერთად მათის განმანათლებელის გრიგოლის ხელით. სომხეთში და სომხეთიდან ქართველებში მომავალი ქრისტიანობის ნაკადი იყო სირიულ-პალესტინური თავისი წარმოშობით. ბიზანტიურსა და სირიულ-პალესტინურს ქრისტიანობას შორის ის განსხვავება იყო, რომ სირიულ-პალესტინური ქრისტიანობა ყველგან ხელს უწყობდა ადგილობრივ კულტურის აყვავებას და ეროვნულ თვითცნობიერების გაღვივებას. სირიულ-პალესტინურ მისიონერების ზედ გავლენით გაჩნდა ანბანი და მწიგნობრობა როგორც სომხებში, ისე ქართველებში. ამით აიხსნება ქართველების სწრაფი დაწინაურება ქრისტიანობის მიღების შემდეგ როგორც პოლიტიკურს ისე ეროვნულ-კულტურულ სარბიელზედ. რომ მართლაც ქრისტიანობა ქართველების ტერიტორიაზედ ვრცელდებოდა სახელდობრ სირიულ-პალესტინურ მიმართულებისა, ეს სჩანს მრავალ სხვა და სხვა ფაქტისაგან. მაგალითად, უძველესი ქართული ეკლესიები აშენებულია სირიულ პალესტინის ეკლესიის წმიდანების სახელზედ, მაგ., წმ. სტეფანე, წმ. გიორგი. სირიულ-პალესტინის ეკლესიაში განსაკუთრებითი პატივისცემა ჰქონდა ჯვარს. ჯვარის სახელობაზედ აღმოსავლეთში აუარებელი ეკლესიები შენდებოდა. ამავე მოვლენას ვხედავთ საქართველოში. უდიდესი სიწ-

30.7.86

L



შინდე ქართველ ერისა ძველად ქრისტიანობის უკვე აღსანიშნავი დროისა არის წმიდა ჯვარი, რომელიც მცხეთის ჯვარად იწოდებოდა. ამ ჯვარის სალოცავად შორეულ ქვეყნებიდანაც კი მოდიოდნენ ხოლმე, მაგ. სომხეთიდან და სპარსეთიდან. ეს ის ჯვარია, რომელიც მე-XII საუკუნიდან დაწყებული ცნობილია ჩვენში წმ. ნინოს ვაზის ჯვარად და ახლა სიონის ტაძარშია დაცული. საეკლესიო ჩვეულებანი და ღვთის მსახურების, პრაქტიკა აგრეთვე გვიჩვენებენ უძველეს ქართულ ქრისტიანობის დამოკიდებულებას სწორედ სირია-პალესტინიდან **via armenica**.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ რომ ქართველებში გავრცელებული, ქრისტიანობა იყო სირიულ-პალესტინურ სომხურ მიმართულებისა და ახლა ადვილი გასაგებია, თუ რატომ საქართველოში მე-IX საუკუნემდის ქართველების განმანათლებლად ითვლებოდა წმიდა გრიგოლი. ამითვე აიხსნება, რომ ქართული ეკლესია პირველად სომხეთის კათოლიკოზთა დამოკიდებულობასა და გავლენის ქვეშ იყო და მხოლოდ შემდეგ დროებში ქართლის კათოლიკოზთ თან და თან მოიპოვეს ეროვნულ განვითარებისათვის საჭირო იერარქიული დამოუკიდებლობა.

ამ დამოუკიდებლობამ უფრო რეალური სახე მიიღო, როდესაც მე-VII საუკ. დასაწყისში მოხდა განხეთქილება ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის. ამ განხეთქილებას ფრიად დიდი მნიშვნელობა ქონდა ქართველ ერის ცხოვრებაში ჭკერძოდ ქართულ ეკლესიისათვის. ამის შემდეგ ქართლის კ-ზთ გასწყვიტეს ყოველგვარი კავშირი სომხის ეკლესიასთან და ჩვენი იერარქია ბევრითად შეუდგა ყოველ იმის მოსპობას, რაც კი მოაგონებდა ქართველობას მათს წინანდელ დამოკიდებლობას სომხებისაგან. ცხადია, წმ. გრიგოლის კულტიც ამის შემდეგ საქართველოში დიდხანს ვერ იცოცხლებდა. მე-X—XI საუკუნეში ქართველი ერი იმდენად ღონივრად გრძნობდა თავს, რომ შესაძლებლად სთვლიდა თავისი თავი სრულ წლოვანად ეცნო. სულიერი ძალა ერისა თხოულობდა.



და ახალ ფორმებს თვისი ენერჯის გამოსახატავად. წმ. გიორგის კულტი არ შეეფერებოდა არა თუ ახლად აღორძინებულ ერის ეროვნულ ინტერესებს—არაღან წმ. გრიგოლი იყო სომხეთის განმანათლებელი—არამედ ეს კულტი არ შეესაბამებოდა ქართველების სარწმუნოებრივ გრძობასაც. შემდეგ განხეთქილებისა ქართველნი და სომეხნი დაშორდნენ ერთმანეთს სარწმუნოებრივის მხრივაც. ორივე ერი სთვლიდა ურთიერთს მწვალებლად და მართლ-მადიდებელ სჯულის მოღალატედ. ეს იყო მიზეზი, რომ მე-X საუკუნეში წმ. გრიგოლის კულტმა ჩვენში ადგილი დაუთმო ახალის წმიდანის ნინოს კულტს. ეს ორი უმთავრესი მიზეზი წმიდა ნინოს კულტის წარმოშობისა—ეროვნული სარწმუნოებრივი—განსაზღვრვას მისი მნიშვნელობას ჩვენს ისტორიაში. მაგრამ ჯერ ვიკითხოთ, საიდან გაჩნდა ნინოს კულტი ასე უეცრად მე-X საუკუნეში? ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ წმიდა ნინო ისტორიული პირია ივერიისა სამეფოს განმანათლებელი. მაგრამ ვინ იყვნენ ივერიელები?

როდესაც ფიქრობენ, რომ ივერიელები ქართველების მონათესავე ტომი იყო, მათ ეთნიურ სახელს იბერი ან ივერი უკავშირებენ ეთნიურს სახელს ერთ-ერთ ქართველ ტომისას, სახელდობრ იმერლებისას. მართლაც, ფონეტიკურად იბერი ან ივერი და იმერი ერთი და იგივეა. მაგრამ საქმე ის არის, რომ იმერი, როგორც ეთნიური ტერმინი, სულ ახალი დროისაა. ის არის ხელოვნურად ნაწარმოები „იმიერისაგან“ იმ ქართველთა აღსანიშნავად, რომელნიც ლიხის მთის იმიერ ანუ იქით მხარეს ბინადრობდნენ. ტერმინი იმერეთი და იმერელი, როგორც ეთნიური გამოხატულება ერთ-ერთ ქართველ ტომისა იმერლებისა ჩნდება მხოლოდ მე XV საუკუნის ახლო დროში. მანამდის კი ამ ტერმინის ქაჭანება—როგორც ეთნიურის სახელწოდებისა—არსად არის. ტომი იმერებისა ანუ იმერლებისა არ არსებობდა საშუალო საუკუნეებში, თამარის დროს, მაგალითოდ, არც მის მერე, არც მანამდის და მით უმეტეს ეს ტომი არ ყოფი-



ლა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში. ის ტომი, ^{ქრისტიანობის} ^{საქართველოში} საც ბერძნები და რომაელები უწოდებდნენ იბერიელებს. ქართული გამოთქმით იწოდებოდა ჰერებად. ისინი იყვნენ მონათესავე მეორე ძლიერი ხალხისა, რომელიც სელჯუქების მოსვლამდის ბატონობდა და ბინადრობდა მთელს აღმოსავლეთს ამიერ კავკასიაში კასპის ზღვამდის—სახელდობრ ალბანელებისა. სწორედ ისე, როგორც ქართველების სახელწოდება სხვა და სხვა ენაზედ—არაბ. ჯორზ, სპარს. გურჯ, რუს. грузинъ ძველ ბერძნულად ხორს, ფრანგ. géorgien, გერმ. Georgier ფონეტიკურად არის იგივე ქართველი, ასევე იბერი ბერძნებისა და რომაელებისა ანუ ჰერი ქართველებისა ენათესავება იმავე ალბანელების სახელწოდებას შემდეგის თანდათანობით: იბერ, ჰბერ, ჰვერ, ჰერ, არრან, ალბან, ჰალბან, შარვან. ხოლო მეცნიერებაში უკვე კარგა ხანია გამორკვეულია, რომ ძველი ალბანელები იყვნენ ლეკების მონათესავე ტომი. მაშასადამე ბერძნების იბერები, ხოლო ქართველების ჰერები ყოფილან აგრეთვე ლეკების მონათესავე ტომი. ეს იბერიელები ან ჰერები ქართველებმა სომხების დახმარებით გამოდევნეს ახლანდელ შიდა ქართლიდან მე-IV საუკ. ბოლოს და მე-V საუკ. დასაწყისს, ესე იგი ცოტა ხნის შემდეგ იმისა, რაც წმიდა ქალწულმა განანათლა ქრისტეს სჯულით ივერიის სამეფო. ამის შემდეგ იბერებს ანუ ჰერებს შერჩათ ახლანდელი კახეთის ტერიტორია ვიდრე მე-X საუკუნემდის. მე-X საუკუნეში ჰერეთი დაიპყრეს კახთა მთავართა. ხოლო დავით აღმაშენებელმა მე-XII საუკ. დასაწყისში შემოუერთა საქართველოს გაერთიანებული ჰერთა ანუ რანთა და კახთა სამეფო. აი ამ იბერებსა ანუ ჰერებს შორის მოღვაწეობდა წმიდა ქალწული, ტყვე ვინმე დედაკაცი, რომლის კულტმა ფეხი მოიკიდა ქართველთა შორის მე-X საუკუნეში ნაცვლად წმიდა გრიგოლისა. წმიდანის კულტი რომ უცხო წარმოშობისა არის, ამას პირდაპირ ამბობს მე-X საუკუნის ქართველი მეცნიერი ფორემ მცირე. ესევეა აღიარებული რუის-ურბნისის



საქართველოს
ისტორიის
ინსტიტუტი

საეკლესიო კრების მიერ ოფიციალურ ტრაქტატში. მხოლოდ მწელია იმისი თქმა, რომელ წყაროებიდან გაიგეს ქართველებმა წმიდა ნინოს არსებობა, ბერძენ ისტორიკოსებიდან თუ სომხის მწერლებიდან. ყოველ შემთხვევაში ფრიად სიმბტომატიური მოგვინაა, რომ სწორედ მე-X საუკუნეში აქ, ქართულ ნიადაგზედ, წმიდა ნინოს კულტი შემკობილ იქნა ზენაარ შერაფანდებით და მისი ცხოვრებაც სხვა და სხვა ლეგენდებით გარემოცული. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართველების სახელი ამიერკავკასიაში დიდის სისწრაფით წინ მიდიოდა. ახალგაზრდა ერი თავს ახწევდა უცხო ნორმებს, სწყვეტდა კულტურული და პოლიტიკურ დამოკიდებულობის ჯაჭვებს და სცდილობდა თავისი ცხოვრებისათვის ახალი, საკუთარი, სხვა ერების მიერ უცილობელი კალაპოტი გაეკეთებინა. ასეთს პირობაში საქართველოს ეკლესიისათვის მოუხერხებელი იყო და დამამკირებელიც ისეთ უცხო ეროვნულ კოლორიტის მქონი წმიდანის კულტის კვლავ განვითარება, როგორც იყო წმიდა გრიგოლი, სომეხთა განმანათლებელად აღიარებული. ქართველ სამღვდელოებს უნდა დაეხსნა ქართველი ერი იმ ორჭოფულ მდგომარეობიდან, რომელიც გამოიხატებოდა საქართველოს ეკლესიის მიერ მწვალებელ სომეხთა ეროვნულ წმიდანის ქართულ ნიადაგზე ნაციონალიზაციის საქმეში. წმიდა გრიგოლი ქართველების თვალსაზრისით ხომ ისეთივე სულიერი მოძღვარი და დამაარსებელი უნდა ყოფილიყო მართმადიდებელ საქართველოს ეკლესიისა, როგორც იყო ის სომხის ანტიხალკიდონიტურ ეკლესიისა.

ქართველმა ერმა ღ საქართველოს ეკლესიამ ჩინებულად შეასრულეს ეს თავისი მიზანი. ამიერიდან წმ. ნინოს კულტის დამკვიდრების დროიდან ქართულ ეკლესიას, ამ დასაბამს ქართულ კულტურისას, ყავდა საკუთარი ეროვნული განმანათლებელი მართალია, ეს განმანათლებელი უცნობი შთამამავლობისაა, თვით მისი სახელიც ნინო უდრის ბერძნულ საზოგადო სახელს ნონნას, რაიც მოლაზონს ნიშნავს და ამნაირად საკუთარ სახელს არ



წარმოადგენს. მართალია ისიც, რომ ქართველმა ექიმებმა იცოდა წმიდა ნინოს ნამდვილი სახელი თეოგნოსტის სახელით მოხსენებულია ერთს უძველესს ეთიოპურ წყაროში და საზოგადო სახელი ნონა საკუთარ სახელად მიიღო. გარდა ამისა, როგორც დაინახეთ, რუფინის თქმულება წმ. ნინოს მოციქულებრივ მოღვაწეობის შესახებ შეეხება არა ქართველებს, არამედ ივერიელებს ანუ ქართულის გამოთქმით ჰერებს, მაგრამ მაინც მიუხედავად ყოველ ამისა წმიდა ნინო ქართველია, რადგან ის წმინდა ნინო, რომელსაც აქებს და აღიღებს ქართველი ერი, არის ნაყოფი ჩვენი ერის შემოქმედობისა. ის არის განპიროვნებული გამოხატულება ქართველი სულის თავისუფლებისა, ქართველ ეროვნების სულიერი ინდივიდუალობისა. წმიდა ნინო არის განპიროვნებული პროტესტი სხვისი მონობის და მორჩილებისა, რადგან თვითონ ის წმიდა ნინო, არა ისტორიული ქალწული ტყვე ჰერთა განმანათლებელი, არამედ წმიდა ნინო ქართველთა განმანათლებელი თავისი წარმოშობით თვით არის შედეგი ქართულ პროტესტანტიზმისა წინააღმდეგ უცხო ტომთაგან დამოკიდებულებისა თავის სულიერ კულტურულ ცხოვრებაში. ამიტომაც წმინდა ნინოს აქვს ჩვენთვის არა მარტო სარწმუნოებრივი მნიშვნელობა, უფრო მეტად მოქალაქობრივ მნიშვნელობა, რადგან სააუკუნეების სიგრძეზედ მისი სახე ჩვენს ხალხს ხატად აქვს, როგორც ემბლემა წარსული კულტურულ ეროვნულ აღფრთოვანებისა, თვისი წარსული დიდებისა და როგორც იმედი და სასოება უკეთეს მომავალისა, ამიტომ წმინდა ნინო უკვდავია ჩვენი ერის ხსოვნაში მიუხედავად იმისა, რა სახეს ღებულობდა წარსულში ან ახლა ქართველების სარწმუნოებრივი ცხოვრება. ქრისტიანობა ჩვენში ხშირად გაქირვებაში ყოფილა. მაგრამ მიუხედავად ამისა წმიდა ნინოს სახელი არამც თუ მომკვდარა უფრო მეტი შერავანდედით შემოსილა და არც მოკვდება, სანამდის ქართველი ერს შერჩენია ცნობიერება თავისი ეროვნულ ვინაობისა.

